

დილის ლოცვები

რაჟამს“ აღსდგე ძილისაგან, უწინარეს ყოვლისა საქმისა წარსდგე კრძალოთ ყოვლისმხილველი უფლის წინაშე, გააღაისახე პირჯუარი და სამადლობელად ღმერთისა ბრძანე.*

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგკწყალენ ჩუენ. ამინ.

დიდებაჲ შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

მუფუეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალავსებ მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვდრე ჩუენ შორის, და წმიდა მყუენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.**

*კურსივით (ე.ი. დახრით) ნაბეჭდი ტექსტი არ იკითხება ლოცვის დროს.

**აღდგომიდან ერთი კვირის განმავლობაში ე.ი. ბრწყინვალე შვიდეულში დილისა და ძილის წინა ლოცვების ნაცვლად იკითხება პასექის ჟამნი. იხ. გვ. 57. ხოლო აღდგომიდან მეორე კვირა დღის საღამოს ლოცვებიდან ამალღებამდე, დილისა და ძილის წინა ლოცვებს ვიწყებთ შემდეგნაირად: „ქრისტე აღსდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამორგუნველი, და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“ (3-ჯერ), და ვაგრძელებთ „წმიდაო ღმერთოდან“. ამალღებიდან სულთმოფენობამდე ლოცვებს ვიწყებთ „წმიდაო ღმერთო“-დან; ხოლო სულთმოფენობიდან ლოცვებს ვკითხულობთ ჩვეულებრივი წესით.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგწყალენ ჩუენ (3-ჯ ზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგწყალენ ჩუენ; უფალო, გჳსენ და გჳლხინე ცოღვათა ჩუენთაგან; მიუფეო, შეგუნდე უმჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძღურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგწყალენ (3-ჯ ზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამღებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემეყავნებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიქსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

და სამწმიდაოს ტროპარნი:

აღღვომილი ძილისაგან შევივრდებით შენ, სახიერ, და ანგელოსთა გალობასა გილაღადებთ შენ, ძლიერო: წმიდა ხარ,

წმიდაო,

და

გაღწეუ

წმიდაო

სა და

სა;

ენი,

მათ

არა

ბა და

არა.

წმიდა ხარ, წმიდა ხარ ღმერთო, ღმრთისმშობელისა მიერ შეგწყალენ ჩუენ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ცხედრისაგან და ძილისა აღმადგინე მე, უფალო, გონებაჲ და გული ჩემი განანათლენ და ბავენი ჩემნი აღახუნე გალობად შენდა, წმიდაო სამებაო: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ ღმერთო, ღმრთისმშობელისა მიერ შეგწყალენ ჩუენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მეცხეულად მსაჯული იგი მოვიდეს, და თითოეულისა საქმენი განშიშულდენ, არამედ შიშით ღაღადვეთ შუალამესა: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ ღმერთო, ღმრთისმშობელისა მიერ შეგწყალენ ჩუენ.

უფალო შეგწყალენ (12 გზის).

და ლოცვაჲ ყოვლადწმიდა სამებისადმი

ძილისაგან აღღვომილი გმადლობ შენ, წმიდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სახიერებისა და სულგრძელებისა შენისათჳს არა განრისხენ ჩემ უძღბესა და ცოდვილსა ზედა, და არა თანაწარმწყმდიდე მე უმჯულოებათა შინა ჩემთა, არამედ ჩუეულებისაებრ კაცთმოყუარე მექმენ მე, და უფსკრულსა შინა სასოწარკუეთილებისასა მღებარე აღმადგინე აღმსობად და დიდების-მეტყუელებად ძალსა შენსა. აწცა განმნათლენ თუალნი გონებისა ჩემისანი, ალაღე პირი ჩემი ზრახვად

სიტყუათა შენთა, და გულისქმის-ყოფად გზათა შენთა, და ქმნად ნებისა შენისა, და გალობად შენდა აღსარებითა გული-სამთა, დიდებად და გალობად ყოვლადპატიოსანსა სახელსა შენსა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მუუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მუუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვთ ქრისტესა, მუუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

ფსალმუნი 50-ე*

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აკოცე უშჯულოებად ჩემი. უფრომს განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე; რამეთუ უშჯულოებად ჩემი მე უწყვი, და ცოდვად ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შევცოდე, და ბოროტი შენ წინაშე ვყავ. რადთა განჰმართლდე სიტყუათაგან შენთა, და სძლო შჯასა შენსა. რამეთუ ესერა უშჯულოებათა შინა მიუდგა, და ცოდვათა შინა მშუა მე დელამან ჩემმან; რამეთუ ესერა ჭეშმარიტებად შეიყურე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე; მასხურო მე უსუბითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და

*ფსალმუნთა კითხვას ვწყვეტთ ვნების კვირის ოთხშაბათის საღამოდან, თომას კვირის (აღდგომის შემდგომი კვირის) შაბათამდე, გარდა დიდი შაბათისა.

და
სოი-
ჯი
მე-
თა
თა
ქი,
რა
ღენ
თა
ფე

უფრომს თოვლისა განვსპეტაკენ. მასმინო მე გალობად და სიხარული, და იხარებდენ მუაღნი დამდაბლებულნი. გარე-მაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უშჯუ-ლოებანი ჩემნი აკოცენ. გული წმიდად დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმავდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიდებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისად და სულითა მთავრობისამთა დამამტკიცე მე. ვას-წავლნე უშჯულოთა გზანი შენნი და უღმერთონი შენდა მოიქცენ. მივსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრე-ბისა ჩემისაო; იხარებდეს ენად ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნე, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა; რამეთუ უკუეთუმცა გენება მსხუერპლი შე-მცა-მეწირა; არამედ საკუერთი არა გონდეს. მსხუერპლ ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა, და აღეშენენ ზღუდენი იერუ-სალემისანი. მაშინ გონდეს მსხუერპლ სიმართლისად, შესა-წირავი და ყოვლად-დასაწუველი, მაშინ შეიწირენ საკურ-თხვევლსა შენსა ზუდა ზურაკანი.

მრწამსი*

მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მყობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდ-

*მრწამსი - ქრისტიანული რწმენის არსის გამოხატველი მოციქულთა, რომლის სახელწოდებაც აღებულია მისი საწყისი სიტყვიდან.

შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენის ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ჯორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცუა ჩუენთვის პონტოელისა პილატესზე, და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-ყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იციებების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყუელთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატყეველად ცოდათა. მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა. ამინ.

ლოცვაჲ პირველი წმიდისა დიდისა მაკარისაჲ

ღმერთო, განმწმიდე მე ცოდვილი, რამეთუ არა მიქმნიეს კეთილი წინაშე შენსა, არამედ მიჰსენ მე განსაცდელისაგან, და იყავნ ჩემ შორის ნებაჲ შენი, რამათა დაუსჯელად აღვადო

კთა.

რ

ს

ქ

და

ით

სა

ნა

თა

ხარ

რომ

გვე

ბა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

გა

პირი ჩემი არადირსი და ვაქებდე სახელსა შენსა წმიდასა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვაჲ მეორე მისივე

უფალო, ღმერთო ჩუენო, რომელმან მრავლითა სიტკბო-
ებითა და აურაცხელითა მოწყალებითა შენითა მომანიჭე
ჩუენ და სათნო-იყავ თანაწარსლვასა ამას სიგრძესა ღამისასა
მშუდობით თანაწარსლვად, და ყოვლისაგან განსაცდელისა
და ბოროტისა დაგვფარენ. შენ, მეუფეო და შემოქმედო
ყოველთაო, მომეც ჩუენ მიწვენად ცისკრისა ლოცვათა და
გამოაბრწყინვე გულთა შინა ჩუენთა ჭეშმარიტი ნათელი
საუნჯეთაგან მეცნიერებისა შენისათა და ყოფად ყოვლისავე
ნებისა შენისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვაჲ მესამე წმიდისა ბასილი დიდისაჲ

უფალო ყოვლისა მყრობელო, მეუფეო ძალთაო და
ყოვლისა ჯორციელისაო, რომელი ძალათა შინა მკედრ-
ხარ და ყოველსავე მდაბალთა ჰხელავ, რომელი დაფარულთა
კაცთასა მეცნიერ ხარ, და გულთა და გონებათა მოქმედებანი
უწყნი; დაუსაბამო და უხილავო, ნათელი თუალთ-შეუდგამო,
რომელი მოუარდილებელი ნათელი ხარ, შენ, უკუდაო მეუფეო,
მოჰხედენ ვედრებასა ჩუენსა ზედა ჟამსა ამას, რომელნი
მრავლისა შენისა მოწყალებისა მიმართ მინდობილ ვართ და
გვევდრებით, შეიწირე მწიკულებევანთა ამათ ბავეთა ჩუენთა
მიერი ვედრებაჲ და მომიტყვენ ჩუენ ყოველნი შეცოდებანი

ჩუენნი, საქმითნი, სიტყუთნი და გონებითნი, ცნობითნი და უმეცრებითნი, და განმწმიდენ ჩუენ ყოვლისაგან შეგინებისა კორცთაჲსა და სულისა, და მომხადლენ ჩუენ მღკდარე გონებაჲ, გულისსიტყუაჲ კეთილი, და ყოვლისაგან ღამისა ამაოჲსა სოფლისაგან ჩუენზედა მომავლისა საცთურისაგან მიჴსნენ, რაჲთა ღირს ვიჴმნეთ მიწვენად ბრწყინვალესა და განათლებულსა დღესა მას მჱორედ მოსლვისა მხოლოდშობილისა ძისა შენისა, უფლისა ღმრთისა და მაცხოვარისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, მოსლვასა მისსა დიდებით, განსჯად ყოველთა კაცთა, და მიგებად თუთუელსა საქმეთა მათთაებრ, რაჲთა არა განგდებულ ვიჴმნეთ უღებებითა, არამედ რაჲთა მღკდარედ ვიპოვნეთ აღდგომილნი საქმითა კეთილითა, მომლოდნელნი წარდგომად სიხარულსა და შესლვად საღმრთოსა სასძლოსა დიდებისა მისისა, რაჲთა ჩუენცა მკვდრთა მას შინა წმიდათა თანა ღირს ვიჴმნეთ დღესასწაულობად ჴმასა მას საღმრთოსა დიდებისა მისისასა მოუკლებელად, და განწმედილითა პირითა ხილვად პირსა მას გამოუთჴუმელსა ძისა შენისასა, რამეთუ შენ ხარ ჴვემარტი ნათელი, რომელი განანათლებ და წმიდა-ჴყოფ ყოველთა კაცთა, და შენ გაჴებს ყოველი დაბადებული უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

*ლოცვაჲ მეოთხშ მჱარველი ანგელოსისადმი
სამარადისო*

წმიდაო ანგელოსო, რომელი ზედა-აფე ჴირვეულოს სულსა ჩემსა და გლახაკას ცხოვრებასა ჩემსა, ნუ დამაგდებ მე

ღა
სი
ფშო-
მებრ,
მხო
მკვად
მნაა
ასა
რსა
შითა
შითი
გ
ქოსა
მ. მი

ცოდვილსა, ნუცა განმეშორები ჩემგან ბილწებათა ჩემთათუცს, ნუ სცებ ადვილსა ბოროტსა უფლებად ჩემდა, უძღურებისათუცს მოუკლავთა ამათ კორცთა ჩემთაჲსა. უჴყარ ჴელი დავრდობილსა და შეურაცხსა სულსა ჩემსა და მიძლოდე მე გზასა ცხოვრებისასა. ჴე, წმიდაო ანგელოსო ღმრთისაო, მცველო და მჱარველო უღირსისა სულისა ჩემისა და კორცთაო, ყოველივე შემინდე, რაოდენი გაჴირვე შენ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა და რაოდენი ვსცოდე განვილილსა ამას დამესა, დამიფარე დღესაცა ამას და დამიცე მე განსაცდელისაგან და მზაკუვარებათა წინააღმდეგობისათა, რაჲთა არა რომლითა ცოდვითა განვარისხო ღმერთი, და მეოხ-იფავ ჩემთუცს ღმრთისა მიმართ, რაჲთა განმამჴკიცოს შიშსა მისსა, და ღირსად გამომაჩინოს მისისა მეუფებისა და მკვდრად სახიერებისა მისისა. ამინ.

კონდაკი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისაჲ

ზესთა მბრძოლისა ჩემისათუცს და მოლუაწისა უძღვევლისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა შევსწირავთ, ღმრთისმშობელო ჴალწულო, შენდა მომართ მონანი შენნი. არამედ, ვითარცა გაჴუს ძლიერებაჲ უბრძოლველი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლენ ჩუენ, რაჲთა გივალობდეთ შენ, კურთხეულო: გიხაროდენ, სძალო უსძლოო.

ყოვლადდიდებული და მარადის ჴალწულო, დედაო ქრისტეს ღმრთისაო, მიართუ ლოცვაჲ ჩუენი ძესა შენსა და ღმერთსა ჩუენსა, რაჲთა აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

მოკითხვა მთავარანგელოზისა მიერ
ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა

ღმრთისმშობლო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებული
მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის,
და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ, რამეთუ
მაცხოვარი გვშვე სულთა ჩუენთა.

ლოცვით მოწოდებაჲ წმიდანისა, რომლის
სახელიცა გაქუს


ვევრე ღმერთსა ჩემთვის, წმიდაო სათნოო ღმრთისაო
(სახელი), რამეთუ გულსმოღინედ შენდაჲ მოვივლტი, ვითარცა
მსწრაფლ-შემწისა და მეოხისა სულისა ჩემისათჳს.

ტროპარი ჯუარისაჲ და ლოცვაჲ
ერისა და მამულისათჳს

აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვდრებელი
შენი. ძლევა ჯუარითა ბარბაროსთა ზედა ღმრთივდაცულსა
ერსა ჩუენსა მოანიჭე და საფარველსა ქუეშე შენსა დაიცვე,
რადთა ვიტყოდეთ: უფალო, დიდებაჲ შენდა.

ლოცვაჲ ცოცხალთათჳს

მოიკსენე, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო,
წყალობითა და მოწყალებითა შენითა საუკუნიტგან მყოფნი,
რომელთათჳს განჰკაცენ, და ჯუარ-ცუმაჲ და სიკუდილი



თავს-იდევ ცხოვრებისათჳს მართლმორწმუნეთა შენთაჲსა;
აღსდევ, ამაღლოდი ზეცად და დასჯედ მარჯუენით ღმრთისა
და მამისა; მოხედენ მოწყალებით მედრებულთა შენთა, რომელნი
ყოვლითა გულითა გხადიან შენ; მოყავ ყური შენი და
ისმინე ჩემ მდაბლისა და უკმარისა მონისა შენისა და
ყოვლისა ერისა შენისა. პირველად მოიკსენე, უფალო, შენი
წმიდაჲ, კათოლიკე და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ, რომელი
პატიოსნითა სისხლითა შენითა მოიყიდენ და დაამტკიცენ,
განაძლიერენ, ადამაღლენ, განამრავლენ, მშუდობით დამყარე-
ბულ-ჰყავ, წარმართთა ზედა-მოსლვისაგან განათავისუფლენ
და უძღებისა ჯოჯოხეთისა ბჭეთაგან უკუნისამდე დაიცვენ,
მწვალებელთა გესლოვნებაჲ განაქარვენ და მეტყუელებაჲ
მათი ცუდ-ჰყუენ ძალითა წმიდისა სულისა შენისაჲთა და
მოაქციენ იგინი (მეტანია).*

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ ღმრთივდაცული ერი
ჩუენი, მთავრობაჲ და მხედრობაჲ მისი. მოიკსენე, უფალო,
ღმრთივდაცული ერი ჩუენი და მეუფებაჲ მისი, გარეშეზღუდენ
მპყრობელობანი მათნი და დაუმორჩილენ ქუეშე ფერკთა
მათთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მათნი და შთაუთხრენ
გულთა შინა მათთა კეთილი და მშუდობაჲ წმიდისა
ეკლესიისათჳს და ყოვლისა ერისა შენისა, და მიეც მათ
მშუდობაჲ და დაწყნარებაჲ, რადთა მყუდროებასა შინა მათსა

*დიდ მეტანიებს არ ვასრულებთ, როგორც ზოგადად ყოველ
შაბათ საღამოს და კვირა დღით, ასევე ვნების კვირა დღის
საღამოდან სულთმოფენობამდე, გამონაკლისს წარმოადგენს ვნების
კვირის პარასკევს ტაძარში გამობრძანებული გარდამოხსნის ხატის
წინ შესასრულებელი დიდი მეტანიები.

დაწყნარებული ცხოვრებად გვაქუნდეს, მართლითა სარწმუნოებითა და კეთილ-მსახურებითა ვცხოვრობდეთ *(მეტანია)*.

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ დიდი მეუფე ჩუენი, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, მამად ჩუენი ილია, წმიდანი მსოფლიოს მართლმადიდებულნი პატრიარქნი, ყოვლადსამღუდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღუდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზუნო წესნი, ზიარნი ეკლესიისანი, რომელნი დაადგინენ მწყემსად სიტყვერთა ცხოვართა შენთა ზედა, და ლოცვითა მათითა მეცა ცოდვილი შემიწყალე და მაცხოვნე *(მეტანია)*.

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ სულიერი მამად მოძღვარი, მასწავლელი ჩემი *(სახელი)*, რომელი მარადის იღუპებს და იღუწის სულისა ჩემისათვის, და ლოცვითა მისითა მომანიჭე შენდობად შეცოდებათა ჩემთა *(მეტანია)*.

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ მშობლნი ჩემნი *(სახელი)*, ძმანი და ნათესავნი ჴორციელნი, და ყოველნივე მახლობლნი და მეგობარნი ჩემნი, და მინიჭე მათ მშვიდობად შენი, და აღავსენ იგინი ყოველთა კეთილთა *(მეტანია)*



აცხოვნე უფალო, და შეიწყალენ მოხუცებულნი და ყრმანი, ობოლნი და ქურიენი, და მღებარენი უძღურებასა და დაკნინილობასა შინა, მწუნარენი, განსაცდელსა შინა მყოფნი, ტყუეობასა და საპყრობილესა შინა მყოფნი, დევნულნი სიმართლისათვის მართლმადიდებლობასა შინა უღმრთოთა და წარმართთაგან, მწვალებელთა და უარისმყოფელთაგან, მონანი შენნი, მოიკსენენ, განანათლენ, აღადგინენ, განათავისუფლენ, განამტკიცენ ძალითა შენითა, შენდობად და კსნამ მონიჭე მათ *(მეტანია)*.

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ მოძულენი და მაჭირვებულნი ჩემნი, და მოქმედნი ჩემზედა უშჯულოებისანი, და რომელნი მძძლავრობენ და მყვედრიან მე, ნუ დასჯი ცოდვათა და უშჯულოებათა შინა მათთა ჩემთვის, არამედ მოაქციენ იგინი ბოროტისაგან, რომელ აქენ ჩემდა მომართ, და შეიწყალენ დიდითა წყალობითა შენითა *(მეტანია)*.

უარისმყოფელნი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისანი და ჴეშმარიტებისა გზასა შეცთომილნი, წარმწყმედელთა წვალებათაგან დაბნეულნი, ნათლითა ცნობისა შენისადა განანათლენ და მოაქციენ იგინი მართალსა სარწმუნოებასა ზედა, და ზიარ-ჴყუენ წმიდისა შენისა, კათოლიკე, სამოციქულომსა ეკლესიისა, რადათა გიცნან შენ, მხოლოდ ჴეშმარიტი ღმერთი, და თაყუანის-გცენ *(მეტანია)*.

მოიხსენე უფალო და შეიწყალენ საწუთომსა ამის ცხოვრებისაგან გარდაცვალებულნი მართლმადიდებელნი მუჟენი, დედოფალნი, წმიდანი პატრიარქნი, ყოვლადსანატრელნი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნივე დასნი საეკლესიოთანი და სხვანი მოწესენი მონანი, ნეტარნი ქტიტორნი* წმიდათა ამათ ტაძართანი, განუსვენე მათ და დაამკვდრე წმიდათა რჩეულთა შენტა თანა (მეტანია).

მოიხსენენ, უფალო, სულნი პირველშესვენებულთა მამათა და ძმათა ჩუენთანი, მშობელთა (სახელი) და ყოველთა მონათესავეთა ჩემთა (სახელი), - სასოებით მკუდრეთით აღდგომასა და საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა, შეუნდვენ ყოველნი შეცოდებანი მათნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, მიანიჭე მათ სასუფეველი ცათა და მკუდრ-ჰყუენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენტა და რჩეულთა შენტა წმიდათა თანა და ჩუენ, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან, შეგწყალენ (მეტანია).

ბოლოს სთქე ესე 3-გ ზის:

მიმადლე, უფალო, მიტევება ცოდვათა ყოველთა პირველ გარდაცვალებულთა მამათა და ძმათა ჩუენტა, სარწმუნოებითა და სასოებითა აღდგომისათა და მიანიჭე მათ ცხოვრება

*ქტიტორი - ეკლესიის მამასახლისი, ან პირი, რომლის ხარჯზეც აგებულია ტაძარი. ქტიტორობა - ტაძრის სამეურნეო მზრუნველობა.

საუკუნო
ყოველნი
ღმრთნი
მარათა
ით
ვა-
ყოველნი
სილოთა
ამაღლა
ყოველნი
ღმრთნი
ღმრთნი
ღმრთნი

ღირს არს** ჭეშმარიტად, რამთა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა. უპატონხესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყყსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდებად, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

უფალო შეგწყალენ (3-გ ზის).

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისამთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენტამთა და ყოველთა წმიდათამთა, შეგწყალენ ჩუენ. ამინ.

**„ღირს არს“-ის ნაცვლად საკითხავი საგალობელნი სრულიად წელიწადსა შინა (მზობის კვირას, ვნების შეიღეულში, აღდგომიდან ამაღლებამდე, ამაღლებიდან სულითმოფენობამდე, სულითმოფენობიდან ყოველთა წმიდათა კვირამდე, ფერისცვალებას, ღმრთისმშობლის მიხენებას, ღმრთისმშობლის შობას, ჯუართამაღლებას, ღმრთისმშობლის ტაძარდ მიყენებას, ქრისტეს შობას, წინადაცუეთას, ნათლისღებას, მორქმს, ხარებას) იხილე ვენი. ამისთან, უნდა გვახსოვდეს, რომ აქ მითითებულ დიდ დღესასწაულთა (გარდა აღდგომის დღესასწაულისა) მკორე დღიდან წარგზავნამდე, კვირა დღეს იგალობება „ღირს-არს“-ი.